| 26 მანავის გორხანის | 1069 | 4 | 412 | 38 | 5 | 45 | 32 | 27 | 0 | 2 | 243 |
| 27 მანავის ბურდიანის | 520 | 6 | 220 | 8 | 3 | 39 | 8 | 6 | 0 | 2 | 140 |
| 28 დიდი ჩაილურის | 763 | 2 | 411 | 27 | 7 | 51 | 49 | 12 | 0 | 1 | 251 |
| 29 პატარა ჩაილურის | 762 | 3 | 462 | 30 | 11 | 86 | 40 | 16 | 0 | 0 | 264 |
| 30 კაკაბეთის განახლების | 1251 | 4 | 582 | 59 | 5 | 33 | 83 | 78 | 4 | 4 | 293 |
| 31 სოფ. კაკაბეთის საკრებულოს | 1302 | 6 | 525 | 32 | 46 | 32 | 40 | 45 | 3 | 0 | 312 |
| 32 ვერხვიანის | 330 | 6 | 233 | 9 | 2 | 18 | 8 | 11 | 1 | 0 | 178 |
| 33 ყანდაურის | 925 | 2 | 394 | 30 | 15 | 45 | 29 | 16 | 3 | 1 | 242 |
| 34 ბადიაურის | 1201 | 3 | 528 | 79 | 12 | 45 | 76 | 23 | 2 | 5 | 270 |
| 35 მზისგულის | 495 | 2 | 331 | 40 | 19 | 12 | 40 | 0 | 0 | 0 | 215 |
| 36 შიბლიანის | 402 | 3 | 281 | 21 | 4 | 28 | 22 | 9 | 0 | 0 | 189 |
| 37უდაბნოს | 576 | 20 | 346 | 18 | 13 | 12 | 37 | 7 | 0 | 0 | 246 |
| 38 დუზაგრამის სკოლის უბანი | 1024 | 7 | 289 | 6 | 1 | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 270 |
| 39 დუზაგრამის საკრებულოს უბანი | 1315 | 10 | 365 | 3 | 0 | 11 | 1 | 0 | 0 | 0 | 342 |
| 40 ქეშალოს სკოლის უბანი | 926 | 9 | 314 | 12 | 1 | 11 | 1 | 0 | 3 | 0 | 222 |
| 41 ქეშალოს ამბულატორიის უბანი | 999 | 7 | 332 | 23 | 1 | 24 | 0 | 0 | 1 | 0 | 246 |
| 42 მუღანლოს | 1255 | 4 | 412 | 4 | 1 | 19 | 1 | 0 | 0 | 1 | 371 |
| 43 მუღანლოს | 1104 | 9 | 268 | 17 | 3 | 37 | 0 | 0 | 0 | 0 | 202 |
| 44 ლამბალოს | 1333 | 7 | 348 | 71 | 1 | 19 | 1 | 0 | 0 | 2 | 236 |
| 45 ლამბალოს | 1301 | 10 | 303 | 73 | 0 | 46 | 1 | 1 | 3 | 0 | 161 |
| 46 ლამბალოს | 1345 | 11 | 257 | 40 | 6 | 70 | 1 | 1 | 0 | 0 | 128 |
| 47 თულარის სკოლის | 1432 | 8 | 414 | 9 | 24 | 148 | 1 | 1 | 0 | 0 | 204 |
| 48 თულარის | 1387 | 7 | 387 | 9 | 27 | 126 | 3 | 0 | 0 | 0 | 197 |
| 49 კაზლარის | 833 | 3 | 260 | 9 | 10 | 74 | 1 | 0 | 1 | 1 | 148 |
| 50 ლამბალოს | 973 | 12 | 198 | 12 | 3 | 19 | 1 | 0 | 1 | 0 | 154 |
| **სულ** | **45917** | **295** | **19297** | **1699** | **539** | **2340** | **1559** | **632** | **48** | **110** | **11371** |
| **%** | | | | **9,29** | **2,95** | **12,79** | **8,52** | **3,45** | **0,26** | **0,60** | **62,14** |

## მოსავალი

# როცა რთველი დამთავრდა

**„რთველი-2017„-მა** ღვინობისთვესთან ერთად გამოიხურა ვენახის კარი. 25 ოქტომბრიდან მუნიციპალიტეტში მოქმედმა ყურძნის მიმღებმა და პირველადი გადამუშავების ქარხნებმა შეწყვიტეს მოსახლეობისაგან ყურძნის მიღება-ჩაბარება, თუმცა, ქვეყნის ხელისუფლების მიერ რთვლის ორგანიზებულად ჩატარების კუთხით გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების გამო ჩვენს მევენახეებს ამ დროისათვის ფაქტობრივად ჩასაბარებელი ყურძენი აღარც დარჩათ. რთველი დამთავრდა და შესაძლებელი გახდა იმის დათვლა, თუ რა მოსავალი მოიწიეს წელს მუნიციპალიტეტის მევენახეებმა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, რაც დაფუძნებულია ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე, სულ წელს მუნიციპალიტეტიდან ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს მიეყიდა **13249** ტონა ყველა სახის ყურძენი, რაც ფულად გამოსახულებაში **18 მილიონ 682219 ლარს შეადგენს**. აქედან, რქაწითელი ჩაბარებულია 6866 ტონა (7097569 ლარი), საფერავი – 5301 ტ. (10153176 ლარი), კახური მწვანე – 1013ტ (1342160 ლარი), სხვადასხვა ჯიშის ყურძენი 64 ტონა (89314 ლარი).

ყურძნისა და ღვინის საწარმოებისათვის მიყიდული ყურძნის დასახელებული რაიონებიდან ყველაზე მეტი ყურძენი მიყიდულია სოფელ კაკაბეთიდან – 3775 ტ. (4955725 ლარი), მანავის მოსახლეობამ წელს ყურძნის მიმღებ ქარხნებში მიიტანა 1865 ტონა ყურძენი (2741065 ლარი), თოხლიაურის – 1286ტ (1746872ლ), პატარა ჩაილურის – 1264ტ (1950037ლ), დიდი ჩაილურის – 1174ტ (2005101ლ), ვერხვიანის – 821ტ (1004990ლ), საგარეჯოს – 566ტ



(753343ლ), ბადიაურის – 290ტ (351501ლ), ყანდაურის – 194ტ (25470ლ), ნინოწმინდის – 159ტ (234453ლ), გიორგიწმინდის – 455ტ (616054ლ) და ხაშმის მოსახლეობას – 174ტ (391482ლ). იგივე სამსახურის მონაცემებით, სულ მთლიანად კი, წელს მუნიციპალიტეტში მოწეულია 21500ტ ყურძენი, საიდანაც (1825ტ) მოსახლეობამ ნაწილს პირადი სარგებლობისათვის მოიხმარა, ნაწილი კი კერძო შემსყიდველებზე გააკეთა რეალიზაცია.

*გივი დაბახიშვილი*

მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური

დასასრული

გრამა (2007-2011 წწ); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა – განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა (2011-2013წწ).

**სამუშაო გამოცდილება:**

ქ. საგარეჯოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საგანმანათლებლო დაწესებულება „ილია" – ინგლისური ენის მასწავლებელი (2012წ); სტაჟიორი, თბილისის №1 კლასიკურ გიმნაზიაში (2011-2012წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში (2015 წლიდან დღემდე).

**მთავარი სპეციალისტი**

**გიორგი ქვლივიძე**

**დაიბადა** 1964 წელს;



**განათლება** – საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი, ზოოინჟინერი;

**სამუშაო გამოცდილება:**

1996-1998წწ – კვების პროდუქტების ლიცენზირების რაიონული განყოფილების უფროსი; 1998-2001წწ ქ. საგარეჯოს საკრებულოს მდივანი; 2001-2002წწ – საგარეჯოს რაიონის გამგეობის ეკონომიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; 2002-2004წწ – საგარეჯოს რაიონის გამგებლის მოადგილე; 2006-2008წწ – „ენერგოპროჯორჯიას" საწყობის ზედამხედველი; 2009-2010წწ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი; 2010-2011წწ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი; 2012-2013წწ – ქალაქ საგარეჯოს რწმუნებული; 2013-2014წწ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

2014 წლის მარტიდან დღემდე - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტია.

**უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში**

**ირაკლი თულაშვილი**

**დაიბადა** 1991 წელს

**განათლება** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი (2009-2013წწ);



**სამუშაო გამოცდილება:** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში (2015 წლიდან დღემდე).

**უფროსი სპეციალისტი**

**ნინო მეზვრიშვილი**

**დაიბადა** 1986 წელს

**განათლება**: ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა – მოდელირება და დიზაინი (2004-2008წწ);



**სამუშაო გამოცდილება:** დამხმარე დიზაინერი სამოდელო სააგენტოში „გრაცია და ფანტაზია" (2001-2003წწ);

2015 წლიდან დღემდე უფროსი სპეციალისტის პოზიციაზეა ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში.

ინფრასტრუქტურა-2017

# უკვე დაიწყო საგარეჯოს სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები



სამოქალაქო განათლება

# მოსწავლე და ტრეფიკინგი

# ღია გაკვეთილი – როგორ დავიცვათ საკუთარი და სხვისი ღირსება



**უკანასკნელ** ხანს მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო ადამიანთა ჩაგვრის, ექსპლოატაციის, დამცირების, ყიდვა-გაყიდვისა და სიცოცხლის ხელყოფის შემზარავმა ფაქტებმა. რიგი სახელმწიფოები სარეკლამო რგოლებში ხშირად იყენებენ მოქალაქეთა გამაფრთხილებელ, ან ტრეფიკინგის ამკრძალავ ნიშნებს, მაგრამ, შედეგი კვლავ სავალალოა... საქართველოს მასმედია ყველანაირად ცდილობს ფართო ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას ტრეფიკინგის, ძალადობის აღმკვეთ ღონისძიებებზე, მაგრამ...

სწორედ აღნიშნული საკითხის ღრმად და შინაარსიანად გასაცნობად ***საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა თამარ ქურდოვანიძემ*** ღია გაკვეთილი ჩაატარა საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. გაკვეთილი იმავე სკოლის მეცხრეკლასელებთან ჩატარდა. კლასი სამ ჯგუფად დაიყო. თითოეული მოსწავლე პედაგოგთან ერთად გააზრებულად საუბრობდა და განიხილავდა პედაგოგის მიერ დასმულ შეკითხვას, პასუხს. პედაგოგმა მათ გაკვეთილის დასაწყისშივე აუხსნათ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ „თითოეული ადამიანი იბადება თავისუფალი და ყველას თავისი ღირსება აქვს, რომელიც ადამიანის განუყოფელი თვისებაა". თუმცა, „თეთრი მონობა" – ტრეფიკინგი დღეს მნიშვნელოვან პრობლემად იქცა მსოფლიოში. ტრეფიკინგი ადამიანის ყიდვა-გაყიდვას ნიშნავს, რომელიც უკანონო ქმედებით, მუქარით, ძალადობით, იძულებითი ფორმების გამოყენებით ხორციელდება. მართალია, მის წინააღმდეგ სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები დასახა, მაგრამ აუცილებელია თითოეულმა ადამიანმა იცოდეს თავისი უფლებები, თავი დაიცვას ძალადობისგან. ღია გაკვეთილის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები, თითოეული ჯგუფის წევრები. მაგალითად, ირაკლი ხახანაშვილმა თანატოლებს აუხსნა ტრეფიკინგის წინააამდეგ განხორციელების წესები, შოთიკო ქვლივიძემ ისაუბრა ტრეფიკინგის სადამსჯელო ქმედებებზე, რომლებიც წარმატებით ხორციელდება. სწორედ სადამსჯელო ზომებზე ისაუბრა თემურ გილაშვილმაც, სამოქალაქო განათლების პროექტი მსმენელებს და თანაკლასელებს გააცნო გიორგი არჩუაძემ. საერთოდ, სამოქალაქო განათლების მნიშვნელობაზე დამაჯერებლად ისაუბრა სოფო ესაიაშვილმა, ადამიანის ღირსებაზე – მარიამ კოჭლამაზაშვილმა. გიორგი კუჭუაშვილმა თანაკლასელებს აუხსნა და განუმარტა ის ზომები და სადამსჯელო ღონისძიებები, რასაც კონკრეტულად ჩვენი სახელმწიფო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ატარებს. აღნიშნულ საკითხზე გაეროს მიერ შემუშავებული დეკლარაციის მუხლების შესახებ ისაუბრა ანა ბუჩაშვილმა. ღია გაკვეთილის პროცესში პედაგოგსა და სადისკუსიო სამ ჯგუფად დაყოფილ მოსწავლეებს შორის საინტერესო კითხვა-პასუხი, დისკუსია გაიმართა. თითოეული მოსწავლე ღიად და თავისუფლად გამოთქვამდა საკუთარ აზრს ტრეფიკინგის და მის წინააღმდეგ მიმართულ სადამსჯელო და აღმკვეთ ღონისძიებებზე.

ღია გაკვეთილს მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ – სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ქეთი მამისაშვილი, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მანანა საბაშვილმა სასკოლო პროგრამიდან მოსწავლეებს შეახსენა პოემა „თორნიკე ერისთავიდან" მთელი რიგი ეპიზოდები ადამიანის ღირსებების დაცვისა. საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ბადრი დრეიძე მოსწავლეებს საინტერესოდ ესაუბრა საქართველოსა და საერთოდ მსოფლიოში შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე, რომელიც ადამიანის ღირსების, სიცოცხლის ხელყოფაში გამოიხატება. მან მოსწავლეები გააფრთხილა იმ მოსალოდნელ საფრთხეებზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდის გულუბრყვილობამ, ნდობამ, ან მეორე პირისაგან მომდინარე ძალმომრეობამ, დაშინებამ.

ღია გაკვეთილზე, რომელიც თემაზე „უთხარი – „არა" ტრეფიკინგს" მოსწავლეებმა პედაგოგის დახმარებით ღრმად და საფუძვლიანად გაიცნეს ტრეფიკინგისგან მომდინარე სავალალო შედეგები, მათ ამ ერთმა პრაქტიკულმა მეცადინეობამ ბევრი გამოცდილება და ცოდნა შესძინა – შეუძლიათ თავიანთ თანატოლებს გააცნონ საკითხი, პრობლემა, რომელიც დღეს დღის წესრიგში დადგა თავისი დაუნდობელი ბუნებით.

გაკვეთილი მართლაც ძალზედ საინტერესოდ ჩატარდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან მას ისეთი გამოცდილი პედაგოგი უძღვებოდა, როგორიც ქალბატონი თამარ ქურდოვანიძეა – მას წარმატებით აქვს გავლილი სემინარი საჯარო სკოლის მასწავლებლებისათვის „განათლება ადამიანით ვაჭრობის პრევენციის საკითხებში" და მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი.

პროექტის კვალდაკვალ

# იორმუღანლოს სკოლის მოსწავლეებმა ნაადრევი ქორწინების საკითხი ექიმთან ერთად განიხილეს



**იორმუღანლოს** საჯარო სკოლა ჩართულია პროექტში ''საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება''.

პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი მუშაობს თემაზე ''ნაადრევი ქორწინება'', მათ პროექტით გათვალისწინებული არაერთი აქტივობა განახორციელეს.

ერთ-ერთი აქტივობა, სოფლის ექიმის ალიმ მირზალიევის სკოლაში მოწვევა იყო. ექიმი უფროსკლასელებს ნაადრევი ქორწინების თანმდევ გართულებებზე ესაუბრა.

ნაადრევი ქორიწინების თემა ძალიან აქტუალური საკითხია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ თემის განხილვა უფროსკლასელებთან, მოწვეულმა ექიმმა კომპეტენტური ინფორმაცია მიაწოდა მოსწავლეებსო,– ამბობს სკოლის ხელმძღვანელი.

# სპორტი

### ძიუდო

## ბიძინა კევლიშვილის ხსოვნის ტურნირი გიორგიწმინდაში

**27 ოქტომბერს** გარეჯული სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა – გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა ქართულ, თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში საქართველოს ჩემპიონის, თავისუფალ ჭიდაობაში სსრკ სოფლის მეურნეობის სპორტსმენთა საკავშირო პირველობის ჩემპიონის ბიძინა კევლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში. როგორც ყოველთვის, ტურნირის ორგანიზატორი აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანება“ იყო.

პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფში 2006-2007 და 2008-2009 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის 12 წონით კატეგორიაში ჩატარდა, რის შემდეგაც საპრიზო ადგილები ასე დაკომპლექტდა:

**2008-2009 წლებში დაბადებულები:**

20 კგ წონითი კატეგორია: I ადგილი – თამაზ მეკოკიშვილი, II ადგილი გიგა კევლიშვილი ( ორივე გიორგიწმინდა); III ადგილი – ერეკლე ჭიკაძე (მზისგული);

23 კგ წონითი კატეგორია: I ადგილი – მერაბ ზირაქაშვილი (მზისგული), II – თამაზ მახარობლიშვილი (მანავი), III – ლუკა მჭედლიშვილი (კაკაბეთი);

26 კგ წონითი კატეგორია: I – გიორგი ხერგიანი (უდაბნო), II – ლუკა დარისპანაშვილი (გიორგიწმინდა), III – დათო ჩიტაია (საგარეჯო);

29 კგ წონითი კატეგორია: I – ვახო ჭიაბერაშვილი (საგარეჯო), II – ილია ჯაფოშვილი (კაჭრეთი), III – დათო მეზვრიშვილი (საგარეჯო), გიორგი არავიაშვილი (გიორგიწმინდა);

32 კგ წონითი კატეგორია: I – ლადო მაჩურიძე (საგარეჯო), II – ზურა გურჩიანი (უდაბნო), III – დაჩი ჩოკოშვილი (ყანდაურა), გიორგი მჭედლიშვილი (კაკაბეთი);

35 კგ წონითი კატეგორია: I – გიგი ადუაშვილი (ყანდაურა), II – გიორგი მეკოკიშვილი (გიორგიწმინდა), III – გიგი ჩოკოშვილი (ყანდაურა);

38 კგ წონითი კატეგორია: I – საბა ტაბატაძე (საგარეჯო), II – ნოდარ ჩოკოშვილი (ყანდაურა.

**2006-2007 წლებში დაბადებულები:**

30 კგ წონითი კატეგორია: I ადგილი – ონისე ბორაშვილი, II – ნიკა ბერიძე, III – ლუკა კანჯარაშვილი (ყველა საგარეჯო), ცეზარ ჯამალაშვილი (გიორგიწმინდა);

34 კგ წონითი კატეგორია: I – ლაშა ტიგინაშვილი, II – თამაზ მღვდელაძე (ორივე საგარეჯო), III – თამაზ მახარობლიშვილი (მანავი), გიორგი ნაცვლიშვილი (გიორგიწმინდა);

38 კგ წონითი კატეგორია: I – ლერი ილურიძე (გიორგიწმინდა), II – ირაკლი ექვთიმიშვილი, III – მიშა აბესაძე (ორივე კაკაბეთი), შალვა აბესაძე (ყანდაურა);

42 კგ წონითი კატეგორია: I – ბორის ჯაფოშვილი (ჯიმითი), II – გიორგი ცხოვრებაძე (კაკაბეთი), III – მიშა ჭინჭარაძე (საგარეჯო);

მძიმე წონა: I – გიგი ესაიაშვილი (საგარეჯო), II – ბესო ქალდანი (უდაბნო).

---

## მესამე ადგილი ანზორ ქიბროწაშვილის ხსოვნის ტურნირიდან

**28-29 ოქტომბერს** გორში ჩატარდა გორელი ფალავნის ანზორ ქიბროწაშვილის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. ტურნირზე III ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭიდავემ ლაშა ოზგელდოვმა.

---

### რაგბი

## დაუმარცხებელი ჩვენი „ვეფხვები“

**საქართველოს** ჩემპიონატის პირველ ლიგაში მეხუთე ტურის მატჩში კვლავ ჩვენმა მორაგბეებმა პატარძეულის „ვეფხვებმა“ გაიმარჯვეს. მათ თბილისის ივერია 59:20 დაამარცხეს. მათ კიდევ 9 ტურის გავლა მოუწევთ უმაღლეს ლიგაში საპატიო ადგილის დასაკავებლად, მაგრამ მათ ანგარიშზე უკვე 23 ქულაა და ქუთაისის „არესს“ 5 ქულით უსწრებენ, ხოლო ბოლნისის „ყოჩებს“ 15 ქულა აქვთ. როგორც ჩვენი მორაგბეთა გულშემატკივრები ვარაუდობენ, პატარძეულის „ვეფხვებს“ პირველ ლიგაში მეტოქე არ ჰყავთ. წარმატებები ვუსურვოთ მათ.

---

### თავისუფალი ჭიდაობა

## ხუთი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი კახეთის პირველობიდან



**ასეთი** შედეგით დაგვიბრუნდნენ დედოფლისწყაროში გამართული მაჰმედ აზიზოვის სახელობის კახეთის რეგიონული პირველობიდან აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, რომლებიც 2003-2005 წლებში დაბადებულთა შორის ცდიდნენ თავის ძალებს.

კერძოდ, კახეთის ჩემპიონები და ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ: ნიკა მელაშვილი (23კგ), თორნიკე ასაბაშვილი (35კგ), თორნიკე თულაშვილი (47კგ), გიგი ქურხული (54კგ) და დავით კუჭუაშვილი (მძიმე წონა).

ვერცხლის მედლებით დაგვიბრუნდნენ: გიორგი როსტომაშვილი (23კგ), ნიკა საგინაშვილი (29კგ), შალვა გულისაშვილი (35კგ), გიორგი რევაზიშვილი (47კგ) და ფირუზ ქვლივიძე (58კგ).

*გ. დაბახიშვილი*

# კულტურა

### თეატრი

## „საქართველო“



**1 ნოემბერს** საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრი მაყურებლის წინაშე სპექტაკლით „საქართველო“ წარსდგა, რომლის სცენარის ავტორი, მხატვარი და რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილია, მუსიკალური განათლება თამაზ იმნაძეს ეკუთვნის, თოჯინების ავტორი ზაზა გონაშვილია, დეკორატორი, მხატვარ-შემსრულებელი კი თამარ იორამაშვილი, მარინა შიოშვილი და მიშა ხოკერაშვილი. სპექტაკლის ტექნიკური უზრუნველყოფა – ვანო თოლომაშვილი.

სპექტაკლი მაყურებლის წინაშე პირველად 17 მაისს წარსდგა, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში რეალურად განვითარებული მოვლენები. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს მთავარი როლების შემსრულებლებმა პაატა ქვლივიძემ და ირაკლი ლიპარტელიანმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები მიშა ხოკერაშვილი, ბადრი დრეიძე, ფატი ღვინიაშვილი, მარინა შიოშვილი, თინათინ მეზვრიშვილი, ანანო ქვლივიძე და დათო ბერაძე.



---

## „ცოცხალი წიგნები“

**1 ნოემბერს** ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნები“ – თანამედროვე ქართველი მწერლების შვიდკაციანი მობილური ჯგუფი საგარეჯოს ეწვია. ქართველმა მწერლებმა საკუთარი შემოქმედება წარმოუდგინეს მსმენელს და ისაუბრეს ქართულ თანამედროვე ლიტერატურაზე. როგორც ცნობილია, პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ძირითადი მიზანი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და ქალაქებში, საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში.



შეხვედრას საგარეჯოს საჯარო სკოლების მოსწავლეები, ქართული ლიტერატურით დაინტერესებული საგარეჯოს საზოგადოება დაესწრო.

---

## „ბებიები და შვილიშვილები“

**საგარეჯოს** კულტურის სახლის მცირე დარბაზში საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ბიბლიოთეკარმა ვერიკო კერატიშვილმა ამჯერად ბებიები და შვილიშვილები მოიწვია. ღონისძიებაში საგარეჯოს №1, №2, №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მათ თავიანთ ბებიებზე ისაუბრეს. იყო ტკბილი, დაუვიწყარი, ბავშვური, ლაღი მოგონებები, რაც ბებიებს, მათთან ურთიერთობებს უკავშირდება. აქ იყო ლექსები, სიმღერები და რაც მთავარია – დიდი სითბო და სიყვარული ბებიების მიმართ.



## ჩვენვე ვუპატრონოთ ჩვენს სოფელს

# ქალებმა დაიწყეს და...



ელენე სამხთუაშვილი ნინოწმინდისა და წყაროსთავის ახალგაზრდებთან

**რამდენიმე** წელია, რაც ნინოწმინდაში ქალთა საინიციატივო ჯგუფი (ხელმძღვანელი ელენე სამხთუაშვილი) ფუნქციონირებს. მათი პირველი საქმიანობა ნინოწმინდის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობით დაიწყო. თუმცა, ჯერ პროექტი წარმოადგინეს (ავტორი ელენე სამხთუაშვილი) საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელშიც გამარჯვება მართლაც ყველა სოფლის ქალთა ოცნება იყო. წარდგენილმა და გამარჯვებულმა პროექტმა ნინოწმინდელებს მართლაც დიდი საჩუქარი გაუკეთა – ათეული წლობით მოუვლელი საბავშვო ბაღის ეზო საოცარ სამყაროდ აქცია, რასაც მართლაც გარკვეული თანხები და დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ნინოწმინდის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრ ქალებს ოჯახის წევრი მამაკაცებიც შეუერთდნენ – იმხელა ენთუზიაზმი და შემართება, მიზანდასახულობა ნახეს მათში – გაუდაბურებული, გაველურებული ხეები, აბალახებული ეზო წესრიგში მოიყვანეს და იქ საკუთარი ხელებით, ზაფხულის ცხელ დღეებში თავიანთი, მეზობლების, ნინოწმინდელების შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის საზაფხულო მოსასვენებლები, ეზოს სათამაშოები მოაწყეს. მათივე ინიციატივით გარემონტდა სამზარეულო.

შემდეგ კი რესპუბლიკური ავტომაგისტრალიდან ნინოწმინდის ნინოს სახელობის მონასტრამდე მათი ინიციატივით და მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გარეგანათება მოეწყო.

ენთუზიაზმსა და საქმეს რა გამოულევთ და დაიწყეს... შეხვედრა ჩაატარეს მოსახლეობასთან იმ უბნებში, სადაც ნაგვის კონტეინერების განთავსება იყო გათვალისწინებული. მოსახლეობას ესაუბრნენ პროექტის მნიშვნელობაზე, აუხსნეს, რომ ნაგვის კონტეინერების დადგმა ხელს შეეუწყობს სოფელში ჯანსაღი გარემოს შექმნას – აღარ მოხდებოდა სოფლების უბნებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დანაგვიანება. ნაგ-



წმინდა იოაკიმესა და ანას ეკლესიის ეზოს დასუფთავება

ვის გატანა კვირაში ორჯერ შპს „პროგრესი-2011“-ის მიერ მოხდება.

ახალმა პროექტმა (პროექტის საერთო ღირებულება 10285 ლარი იყო, ფონდიდან მოთხოვნილი თანხა – 7965 ლარი, თემის წვლილი – 530 ლარი, დაფინანსების სხვა წყარო – 1790 ლარი) უდიდესი საჩუქარი გაუკეთა სოფელს. საქმიანობა მათ ნინოწმინდასა და წყაროსთავის (ორივე განუყოფელი სოფელია) მოსახლეობასთან მოეწყო. პროექტი, რომელიც სოფლებში ნაგვის შემკრები კონტეინერების დადგმას ითვალისწინებდა, მოსახლეობის ჩართულობასაც მოითხოვდა. მოსახლეობა მართლაც სიხარულით შეხვდა ამ პროექტის დაწყებას და ორივე სოფელში დაიწყო თანხის აგროვება – მაისში ორივე სოფელში 530 ლარი შეგროვდა, პროექტი მოსახლეობიდან მხოლოდ 510 ლარის დამატებას მოითხოვდა. ამ პროექტში





პრეზენტაციაზე

40 ადამიანი მონაწილეობდა. დასუფთავების აქცია ორივე სოფელში მოეწყო – დასუფთავდა წყაროსთავში არსებული წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, ნინოწმინდის საჯარო სკოლის ეზო და მისი მიმდებარე ტერიტორია. მაისშივე შეიძინეს 5 ნაგვის შემკრები მოთუთიებული კონტეინერი და მასში 7000 ლარი გადაიხადეს. ივნისში მათ 3 ბანერი დაამზადეს და ნინოწმინდის შემოსასვლელში არსებული ხევის პირას დააყენეს – იქ, სადაც წლების განმავლობაში მოსახლეობა სტიქიურად ყრიდა საყოფაცხოვრებო ნარჩენს. ორი ბანერი სოფელ წყაროსთავში განთავსდა. ბანერები ნინოწმინდელმა გოჩა მეფარიძემ დაამზადა და დააყენა. ბანერების დამზადებისათვის კი თემის წვლილიდან 240 ლარი იქნა გადახდილი, დადგმისათვის 100 ლარი. ასე, რომ შეძენილი ნაგვის კონტეინერებიდან ორი სოფელ წყაროსთავში დაიდგა, სამი კი ნინოწმინდის შემოსასვლელში არსებული ხევის პირას.

სოფლის იერ-სახის გასალამაზებლად და გარემოს მოსაფრთხილებლად ჯგუფის წევრების მიერ გავრცელებული იქნა ბუკლეტები, რომლებიც ხეების დარგვას და მოვლას, კომპოსტირებას, ნიადაგის დაცვის მეთოდებს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მეორად გამოყენებას, ნარჩენების მართვას აცნობდა დაინტერესებულ მკითხველს. აღნიშნული ბუკლეტები ორგანიზაციამ CENN-მა მოაწოდა ქალთა საინიციატივო ჯგუფს, რომლის ღირებულებამ 400 ლარი (100 ცალი) შეადგინა.

მოსახლეობისათვის ეკოლოგიური საკითხების, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის გასაცნობად ჩატარდა სემინარი, რომელიც ორგანიზაცია „დაასუფთავე საქართველოს“ წარმომადგენელმა ნინო ჩხობაძემ ჩაატარა.

აღნიშნული პროექტიდან მორჩენილი თანხით ქალთა საინიციატივო ჯგუფმა პატარა, მობილური ნაგვის კონტეინერი შეიძინა, რომლის დადგმას ისინი სოფლების ადმინისტრაციული შენობის წინ (ორივე სოფლის ხელმძღვანელობა ერთ შენობაშია განთავსებული) ეზოში ეზოს კეთილმოწყობის შემდეგ შეძლებენ... ასე, რომ სამომავლო გეგმები და კეთილი საქმეების კეთების სურვილი კვლავაც მათშია...



საინიციატივო ჯგუფის ქალთა ერთი ნაწილი

## ყურადსაღები

## პროექტი „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“

### პირველი ნოემბრიდან “ჭკვიანი კამერები” ამოქმედდა – რაზე დაჯარიმდებიან მძღოლები

**პირველი** ნოემბრიდან ვიდეო ჯარიმებთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები ამოქმედდა.

***დამრღვევი მძღოლი შემდეგ ფაქტებზე დაჯარიმდება:*** შუქნიშნის წითელ ფერზე გავლა, ორმაგი ღერძულა ხაზის გადაკვეთა, სიჩქარის გადაჭარბება, მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილება, მუნიციპალური ტრანსპორტის ზოლში მოძრაობა.

ახალი რეგულაციის თანახმად, სამართალდამრღვევს, ჯარიმის დაფიქსირებისთანავე, დარღვევის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან აპლიკაციის საშუალებით ეცნობება.

2018 წლის 1 აპრილამდე საქართველოს მასშტაბით 3 ათასი ახალი „ჭკვიანი კამერა“ დამონტაჟდება. აქცენტი კეთდება დიდ ქალაქებზე, სადაც გადატვირთული მოძრაობაა- თბილისზე, ქუთაისზე, ბათუმზე, რუსთავზე, გორზე, ასევე ავტობანზე.

აღსანიშნავია, რომ მძღოლები, რომლებიც SMS-ის მიღებიდან ვიდეოჯარიმას 10 დღის ვადაში გადაიხდიან, 20%-იანი შეღავათით ისარგებლებენ.

თუ პირი მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში ვიდეოჯარიმას არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მას ფოსტის მეშვეობით გადაეგზავნება.

ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60- დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება.

საჯარიმო ქვითრის ფოსტის მეშვეობით ორჯერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯარიმო ქვითარს საჯაროდ გამოაქვეყნებს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.police.ge.

ვიდეოჯარიმებზე ქულათა კლების სისტემა არ ვრცელდება.

ვიდეო ან ფოტოფირზე დაფიქსირებული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმა მოქალაქემ უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაერიცხება საურავი, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში - ამოქმედდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იძულებითი აღსრულების წესი;

ვიდეოფირსა და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა იზრდება 1 წლამდე.

მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მომსახურება მიიღოს ბანკების, სწრაფი გადახდის აპარატების და მომსახურების სააგენტოს აპლიკაციის საშუალებით.

***რა უპირატესობა აქვს კამერებს, და რატომ არის ჭკვიანი*** - შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი განმარტავს, რომ ეს კამერები ერთიან ქსელშია ჩართული, რომელიც უკავშირდება შსს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრს. ამ ცენტრს აქვს სპეციალური ვიდეო ანალიტიკური პროგრამები, ერთ-ერთია ავტომობილის ნომრის ამოცნობა ავტომატურად და გარკვეული დარღვევების დაფიქსირება, რაც გულისხმობს სიჩქარის გაზომვას, ღერძულა ხაზის გადაკვეთას, წითელ შუქზე გავლას...

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru